კორექტირებული კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი,მთაწმინდა პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა, N 2 -ში (ს/კ. 01.15.06.001.008) 7 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის კონსტრუქციულ ნაწილზე და მშენებლობის პროცესში, საპროექტო შენობის მიმდებარედ არსებულ, ბეტონის საყრდენი კედლის ურთიერთ ზეგავლენის შესახებ.

შპს „კერა დეველოპმენტი" -ს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით,ჩვენს მიერ- ექსპერტი კონსტრუქტორი-ნიკოლოზ ჭკუასელი- ა.წ მარტში ვიზუალურად შემოწმებული და შემდგომში შესწავლილი იქნა ადგილზე, სამშენებლო მოედანზე,საპროექტო **IV**- კლასის 7 სართულიანი (პარკინგისთვის ერთი მიწისქვეშა სართულით)მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი მშენებლობის პროცესში და შემდგომ მიმდებარედ არსებული გრუნტის გასამაგრებლად აშენებული რკინაბეტონის საყრდენი კედლის ურთიერთ ზეგავლენის დადგენის მიზნით.

დამკვეთი ორგანიზაცია: შპს „კერა დეველოპმენტი" -დირექტორი დ.ადამია

მთავარი არქიტექტორი ქ. მამათელაშვილი

კონსტრუქტორი ა.კორტავა

ექსპერტი -კონსტრუქტორი ნ.ჭკუასელი

პროექტით გათვალისწინებული იყო 7 სართულიანი (პარკინგისთვის ერთი მიწისქვეშა სართულით) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. პროექტის მთავარი კონსტრუქტორის და პროექტის მთავარი არქიტექტორის შპს „ბაზისი-XXI"-ის ექსპერტის- იოსებ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და არქიტექტურა სრული შემადგენლობით, ალბომის სახით, ურთიერთ შესაბამისობაშია.

შემოწმებისას დადგინდა საკვლევი ტერიტორიის, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კლიმატური პირობები და მის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან,წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან. რაიმე „საშიში გეოლოგიური პროცესების"გამოვლინება - განვითარება,რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელ კორპუსის ექსპლუატაციას -არ არის მოსალოდნელი.

შენობის მზიდ ელემენტებს წარმოადგენ რკინაბეტონის მონოლითური ჩარჩოსებრ - კავშირებიანი სისტემა. შენობის მზიდი კონსტრუქციების,როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე და აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე ჩატარებულია სერტიფიცირებული საანგარიშო კომპლექსის- LNPA- CALP-2017R ვ-ის საშუალებით.

შენობის საძირკვლებში მონოლითური რკინა-ბეტონისაა, ლენტური-სიგანით 1,7მ, მოცემულია საძირკვლის კვეთები არშირების ჩვენებით,რკინა-ბეტონის სვეტები, გადახურვის ფილა-ასევე არმირების ჩვენებით.

შენობის მიმდებარედ არსებობს მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი, მიწის ზევით - H=3,5მ რომელიც აშენებულია გრუნტის გამაგრების მიზნით და რომელიც ამჟამად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. აღნიშნული საყრდენი კედელი ესაზღვრება შენობას მხოლოდ სამი მხრიდან, ხოლო მეოთხე ეზოს მხრიდან თავისუფალია.

ამჟამად მშენებლობა ფაქტიურად დამთავრებულია, დარჩენილია შემდეგი სამუშაოები: სახურავის იზოლაცია, გარე პანდუსის მოწყობა, გარე საინჟინრო ქსელების მონტაჟი და სხვა... (წარმოდგენილია კალენდარულ გრაფიკში, რომელიც ატვირთულია განცხადებაში). ტერიტორია აუცილებლად გასაწმენდია სამშენებლო და არსებული ნაგავისაგან.

ვინაიდან ობიექტის მშენებლობის პროცესში და აგრეთვე „18 თებერვალი 2019წ" ექსპერტის „საექსპერტო შეფასების" (ავტორი -ი.ცერცვაძე) გათვალისწინებით, გამომდინარე იქიდან,რომ არსებული საყრდენი კედელი და უკვე აშენებული საცხოვრებელი კორპუსი ურთიერთ ზეგავლენის საფრთხეს ვერ წარმოადგენს, ამიტომ დამკვეთმა მიიღო გადაწყვეტილება საყრდენი კედლის „გამაგრების აუცილებლობის მოხსნის" შესახებ.

ვითვალისწინებთ რა, რომ საყრდენი კედლის და აშენებული საცხოვრებელი კორპუსის საძირკვლების ძირის ნიშნული დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან (კედლის ძირის ნიშნული 20-30 სმ-ით დაბლაა ვიდრე ობიექტის საძირკვლის ძირისა),მე -ექსპერტი - ნ.ჭკუასელი, ვიზიარებ აღნიშნულ გადაწყვეილებას და არ ვცნობ „საყრდენი კედლის გამაგრების აუცილებლობას." ამის საფუძველს მაძლევს ყოველივე ზემოთთქმული და დღევანდელი საყრდენი კედლის ვიზუალური და ტექნიკური მონაცემები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულისა შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო -ტექნიკური დასკვნა.

დასკვნა

ქ.თბილისში,მთაწმინდაზე,პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა, N 2 -ში (ს/კ. 01.15.06.001.008) აშენებული 7 სართულიანი (პარკინგისთვის ერთი მიწისქვეშა სართულით) საცხოვრებელი კორპუსისა არსებული საყრდენი კედლის მდგომარეობასა და ურთიერთზეგავლენას არ გამოუწვევია მშენებლობის პროცესში რაიმე საფრთხე და ვთვლით არც არის მოსალოდნელი მომავალში მდგომარეობის გაუარესება.

დასასრულს უნდა აღინიშნოს,რომ წარმოდგენილი ანგარიშები და გადაწყვეტილებები იმსახურებს დადებით შეფასებას.

ექსპერტი- საქართველოს დამსახურებული მშენებელი

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ.ჭკუასელი

ნ.ჭკუასელი

განმარტება

AR1733960 ამ განცხადებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ , რომ ატვირთვის დროს მოხდა შეცდომა არასწორად მოხდა მოთხოვნის დაფიქსირება, კალენდარულ გრაფიკში! AR1737161 განცხადების მიხედვით, მშენებლობის ვადის გაგრძელებას ვითხოვთ 4თვით. წარმოდგენილ კალენდარულ გრაფიკში მომიჯნავე საყრდენი კედლის და მიწის გამაგრებით სამუშაოებს არ ვსაჭიროებთ, რადგან არსებული კედელი კარგ და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. იხილეთ, ტერიტორიის ამსახველი ფოტოები ,ასევე კორექტირებული კონსტრუქციული დასკვნა მშენებარე ობიექტის და საყრდენი კედლის მდგომარეობის თაობაზე.